გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 91
2020 წლის 10 ივლისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, გელდიაშვილის, ქუთაისის და რობაქიძის ქუჩებზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, გელდიაშვილის, ქუთაისისა და რობაქიძის ქუჩების მცხოვრებთა მოთხოვნით, საჭირო ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების დაყენება მითითებულ ქუჩებზე. საგზაო უსაფთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორი მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რო აღნიშნულ ქუჩებზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს შემდეგი „ხელოვნურ უსწორმასწორობები“: ა) გელდიაშვილის ქუჩა, №2-ის მიმდებარედ; ბ) გელდიაშვილის ქუჩა №8-ი მიმდებარედ; გ) ქუთაისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ; დ) ქუთაისის ქუჩა №24-ის მიმდებარედ; ე) რობაქიძის ქუჩა №57-ის მიმდებარედ.

„ხელოვნური უსწორმასწორობა“ უნდა დამონტაჟდეს გოსტ -52 605-2006-ის შესაბამისად და ორივე მხარეს განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“ ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“ შემდეგ მისამართებზე:
ა) გელდიაშვილის ქუჩა, №2-ის მიმდებარედ;
ბ) გელდიაშვილის ქუჩა №8-ის მიმდებარედ;
გ) ქუთაისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ;
დ) ქუთაისის ქუჩა №24-ის მიმდებარედ;
ე) რობაქიძის ქუჩა №57-ის მიმდებარედ.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს გოსტ-52 605-2006-ის შესაბამისად და ორივე მხარეს განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:
ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „სიჩქარის მაქსიმალური შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე